მურქის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №15(125) 2016 წ. 1-15 აგვისტო ფასი 50 თეთრი

პოლიტიკური ალიანსები საქართველოში

1990 წლიდან 2016 წლამდე

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 25 წელი გავიდა. ამ მოკლე პერიოდში ქვეყანაში სხვადასხვა პოლიტიკური ალიანსები იყო. მათ შორის:

„მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო“ (1990-1991წწ. თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია). მასში შედიოდა შემდეგი პარტიები:

1. „საქართველოს ჰელსინკის კავშირი“
2. „სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება“
3. „სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება“
4. „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი“
5. „საქართველოს ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირი“
6. „საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი“
7. „საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია“

1991-1992 წლების სამხედრო გადატრიალების შემდეგ აღნიშნული ალიანსი დაიშალა.

2) **„მოქალაქეთა კავშირი“** (1993-2003წწ. ედუარდ შევარდნაძე):

1. „მწვანეები“
2. „თბილისის მოქალაქეები“
3. „ერთობა და კეთილდღეობა“

2001 წელს გაოეყო ახალგაზრდა მეწარმეთა ჯგუფი ლევან გაჩეჩილაძისა და დავით გამყრელიძის ხელმძღვანელობით და დაარსეს „ახალი მემარჯვენეები“.

2001 წელს გამოეყო მიხეილ სააკაშვილი და შექმნა „ნაციონალური მოძრაობა“

2002 წელს პარტია დატოვა ზურაბ ჟვანიას გუნდმა და შექმნა „გაერთიანებული დემოკრატები“.

„მოქალაქეთა კავშირი“ 2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაიშალა.

3) **„საქართველოს აღორძინება“ (**1999-2004წწ. ასლან აბაშიძე)

1. „დემოკრატიული აღორძინების კავშირი“
2. „საქართველოს სოციალისტური პარტია“
3. „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი“
4. „კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება“
5. „საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობის მოძრაობა ჭყონდიდელი“
6. „ხსნის მოძრაობა ერის ძახილია“

ალიანსმა 2004 წელს აჭარის რევოლუციის შემდეგ არსებობა შეწყვიტა.

4) **„ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები“** (2004-2012წწ)**:**

1. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
2. „ტრადიციონალისტები“
3. ეროვნულ ძალთა გაერთიანება“ (კონსერვატორები)
4. „გაერთიანებული დემოკრატები“

5) „რესპუბლიკური პარტია“

2004 წელს ალიანსი დატოვეს „კონსერვატორებმა“ და „რესპუბლიკელებმა“.

2007 წელს გუნდიდან წავიდა ირაკლი ოქრუაშვილი და შექმნა პარტია **„მოძრაობა ერთიანი საქართველოსათვის“.**

2008 წელს გაერთიანება დატოვა ნინო ბურჯანაძემ და შექმნა **„დემოკრატიული მოძრაობა“.**

2009 წელს სახელისუფლებო ძალიდან წავიდა ირაკლი ალასანია და შექმნა **„თავისუფალი დემოკრატები“**

5) „ძართული ოცნება“ (2012-2014წწ. ბიძინა ივანიშვილი)

1. პარტია „ქართული ოცნება“
2. „რესპუბლიკური პარტია“
3. „კონსერვატორები“
4. „თავისუფალი დემოკრატები“
5. „მრეწველები“
6. „ეროვნული ფორუმი“

2014 წელს კოალიცია დატოვეს „თავისუფალმა დემოკრატებმა“

2016 წელს – „რესპუბლიკელებმა“, „მრეწველებმა“, „კონსერვატორებმა“, პარტია „ეროვნულმა ფორუმმა“.

ასე, რომ 2016 წლის ოქტომბრის არჩევნებში პარტიები დამოუკიდებლად მიიღებენ მონაწილეობას.

„ო, გოდოლ-ბურჯნო...“

სოფელ გიორგიწმინდის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიასთან მდებარე კოშკს რესტავრაცია ჩაუტარდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით „საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის (ქართუ) ფონდის“ მიერ.

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ივლისის მორიგ სხდომას ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარე ზრიდონ ბურდული*** უძღვებოდა.

დღის წესრიგის I საკითხზე „ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №29 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა პახაბერ მარგებაძემ.***

დღის წესრიგის მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე საკითხებზე, რომლებიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტსა და ტერიტორიულ ერთეულებში მცხოვრებთა კუთვნილი სახლების ნუმერაციის მინიჭებას ითვალისწინებდა, მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ ედადარ მეფარიძემ.***

სხდომაზე საკრებულოს წევრებმა განხილულ საკითხებზე მიიღეს შესაბამისი დადგენილებები.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

9 აგვისტო, 2016 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ***ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ბიორგი რევაზიშვილი*** უძღვებოდა. თათბირზე მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლების მიერ დასმულ შეკითხვებს მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განხორციელების შესახებ, უპასუხეს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა გიორგი ქურდოვანიძემ და ამავე სამსახურის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილების უფროსმა ბექა ფეიქრიშვილმა.

საკანონმდებლო ცვლილებები

მიწის რეგისტრაცია — ახალი წესის პლუსები და მინუსები

ახლახანს ძალაში შევიდა „მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო პროექტი“, რომელმაც მიწის ნაკვეთების რეგისტრაციაზე ბარიერები უნდა მოხსნას – მიწის მფლობელს პრობლემების მოგვარებაში სახელმწიფო დაეხმარება.

მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც პირველი აგვისტოდან ამოქმედდა, მოსახლეობას მიწის რეგისტრაციის პროცესს მნიშვნელოვნად გაუმარტივებს და ეს პროცესი მათთვის, წინა წლებთან შედარებით, გაცილებით ხელმისაწვდომი იქნება, - ასე ახასიათებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ცვლილებებს მიწის რეგისტრაციის კანონში. მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, მიუთითებენ გარკვეულ ხარვეზებზე, რომლებმაც შეიძლება მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცესი შეაფერხოს.

მიწის რეგისტრაციის კანონში ცვლილებების მიხედვით, იმისათვის, რომ მოქალაქემ შეძლოს მიწის ნაკვეთის მარტივად დარეგისტრირება, სახელმწიფო მოქალაქეებს გაუადვილებს საკუთრების დამადასტურებელი საბუთების მოძიებას, შემუშავდება საამზომველო ნახაზის ერთიანი სტანდარტი, დავის წარმოქმნის შემთხვევაში კი სახელმწიფო მესაკუთრეებს ამ დავების მოგვარებაში მედიატორების მეშვეობით დაეხმარება. ასე ხსნის კანონში ცვლილებებს იუსტიციის სამინისტრო, რომელიც ცვლილებების ინიციატორია. იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ცვლილებების აუცილებლობა 28 ივლისის მთავრობის სხდომაზე განმარტა: „ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მოქალაქეებმა უფასოდ ისარგებლონ სერვისებით, იქნება ეს მედიაცია, ცნობების მოპოვება თუ სხვა სანოტარო მომსახურება. ასევე, ნაბიჯნაბიჯ და საბოლოოდ მოგვარდება ჩვენს ქვეყანაში ის პრობლემა, რასაც ჰქვია უზუსტო საამზომველო ნახაზი, რაც გლეხს უქმნიდა ძალიან ბევრ პრობლემას“.

როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები განმარტავენ, „სახელმწიფო პროექტის“ შემუშავება და შესაბამისი კანონის მომზადება მიწის რეგისტრაციის კუთხით აქამდე არსებულმა პრობლემებმა გამოიწვია. გარდა მთელი რიგი ბიუროკრატიული დეტალებისა, მოქალაქეს მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია რამდენიმე ასეული ლარი უჯდებოდა. შედეგად, დღეისათვის ქვეყანაში არსებული მიწის ნაკვეთების მხოლოდ 25 %-ია რეგისტრირებული. ამასვე ადასტურებს რადიო თავისუფლებასთან საუბრისას „საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველოს“ მთავარი იურისტი თეონა ზაქარაშვილი. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლიდან მოყოლებული საქართველოში მიწის ნაკვეთების რეგისტრაციისათვის სამი რეფორმა განხორციელდა, ეს საკითხი დღემდე მოუწესრიგებელია და საქართველოში არსებული 70-80 % მიწებისა დაურეგისტრირებელია. ჯერი რიგით მეოთხე რეფორმაზეა, რომელსაც თეონა ზაქარაშვილი, ერთი მხრივ, დადებითად აფასებს და ამბობს, რომ, ცვლილებების მიხედვით, მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისას ბევრი საშედავათო პირობებით ისარგებლონ:

„პირველ რიგში, ეს არის გარკვეული სახის დოკუმენტების ლეგალიზება. ანუ სახელმწიფო ხარვეზიან დოკუმენტებს მიანიჭებს იურიდიულ ძალას. თუკი, მაგალითად, თქვენ გქონდათ ხარვეზიანი დოკუმენტი და აქამდე საჯარო რეესტრი ამის გამო უარს გეუბნებოდათ დოკუმენტის რეგისტრაციაზე, ახალი კანონის მიხედვით, საჯარო რეესტრი დაგირეგისტრირებთ მიწას. იყო შემთხვევები, როდესაც დოკუმენტში სახელი და გვარი იყო არასწორად დაწერილი, აკლდა ხელმოწერა, არ ჰქონდა ბეჭედი და ა. შ. ამჯერად ასეთი პრობლემები აღარ იქნება რეგისტრაციის ბარიერი. გარდა ამისა, ცნობების მოძიება არქივიდან და ა.შ., ანუ რაც იქნება საჭირო რეგისტრაციისთვის, ამას თავად საჯარო რეესტრი მოაწესრიგებს და, რაც მთავარია, უსასყიდლოდ“.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ, თეონა ზაქარაშვილის თქმით, კანონში დადებითი ხასიათის ცვლილებები შედის, ის მაინც თვლის, რომ რიგით მეოთხე რეფორმა, წინა სამი რეფორმის მსგავსად, ხარვეზიანია. მისი თქმით, სწორედ ამის გამოა, რომ დღეს არსებული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მიწის ნაკვეთის ყოველი მეოთხე რეგისტრაცია იყო პრობლემური და ამიტომ ან უქმდებოდა, ან საჩივრდებოდა სასამართლოში. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საჯარო რეესტრს 56 ათასამდე სარეგისტრაციო საქმის შეჩერება მოუხდა, პრობლემის მიზეზად კი იქცა მიწის ნაკვეთების სასაზღვრო მიჯნების ზედდება და გადაფარვა. თეონა ზაქარაშვილის თქმით, ახალი რეფორმა მიწის ნაკვეთების ზედდებისა და გადაფარვის პრობლემას ვერ აღმოფხვრის და ამის მიზეზად „საერთაშიროს გამჭვირვალობის“ იურისტი ასახელებს მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის ე. წ. სპორადულ, ანუ ერთეული რეგისტრაციის, მეთოდს:

„ანუ არეგისტრირებთ კონკრეტულ მიწას და ამ რეგისტრაციისას აღმოჩნდება, რომ თქვენი ნაკვეთის რაღაც მონაკვეთი უკვე მეზობელ ნაკვეთთან არის დარეგისტრირებული, ან, პირიქით, მაგალითად, თქვენი და თქვენი მეზობლის ნაკვეთს შორის არის გარკვეული ზედდება. ეს პრობლემები, სამწუხაროდ, ისევ დარჩება. და თუ აქამდე გვაქვს 50 ათასზე მეტი გასაჩივრებული რეგისტრაცია, რა თქმა უნდა, რეგისტრაციის რიცხვის მატებასთან ერთად ასეთი პრობლემური რეგისტრაციების რაოდენობაც გაიზრდება“.

თეონა ზაქარაშვილი მიწის ნაკვეთების პრობლემური რეგისტრაციების რიცხვის შემცირებას რეგისტრაციის მეთოდის შეცვლაში ხედავს. ანუ, მისი თქმით, საჭიროა ერთეული რეგისტრაცია სისტემურმა რეგისტრაციამ ჩაანაცვლოს:

„კარგი იქნებოდა, სახელმწიფოს აერჩია სისტემური რეგისტრაცია და თავად, პროაქტიულად, ნაკვეთ-ნაკვეთ მოახდენდა რეგისტრაციას, მივიდოდა ყველა მოქალაქესთან, მივიდოდა ყველა სავარაუდო მესაკუთრესთან, დაადგენდა მათ საკუთრების უფლებას და შემდგომ დაეხმარებოდა მათ ამ მიწების რეგისტრაციაში“.

ვახტანგ ბოხაშვილი, საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული წარმოების სამსახურის უფროსი, ამბობს, რომ მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია განხორციელდება გამოკვლევების შედეგად. მისი თქმით, თითოეული რეგისტრაციისას მოძიებული იქნება ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც რეგისტრაციას წარმატებით დაასრულებს:

„შემოდის აზომვის ახალი სტანდარტი, რაც გულისხმობს იმას, რომ ყველა შემთხვევაში ამზომველი უნდა გავიდეს ადგილზე, შეისწავლოს სიტუაცია. ამ მაღალი სტანდარტით შესრულებული აზომვითი სტანდარტი ამცირებს არასწორი რეგისტრაციის რისკებს. თუკი საჯარო რეესტრისთვის მაინც საეჭვო იქნება ნაკვეთის ადგილმდებარეობა, პროცესში შესაძლებელია ჩართული იყოს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელიც. ადგილზე მოხდება მიწის ნაკვეთის შედარება მეზობელ ნაკვეთებთან, გამოიკითხებიან მეზობლები, შედგება ოქმები და ა. შ.“.

ვახტანგ ბოხაშვილის თქმით, თუკი მოქალაქეებს შორის მაინც წარმოიქმნება გარკვეული დავა მიწის ნაკვეთის საზღვრებთან დაკავშირებით, პროცესში, ახალი კანონის შესაბამისად, ჩაერთვება მედიაციის სამსახური, ნოტარიუსი, რომელიც სამი კვირის ვადაში შეეცდება მოქალაქეებს საკუთრებაზე წარმოქმნილი დავების მოგვარებაში სასამართლოს გარეშე დაეხმაროს.

სოფლის მეურნეობა

მუნიციპალიტეტში ქერის აღება დასრულდა დასასრულს უახლოვდება ხორბლის აღება

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მონაცემებით 1 აგვისტოსათვის ქერის მკა მუნიციპალიტეტში დამთავრდა. ქერის მოსავალმა მთლიანად 4100 ტონა შეადგინა, ანუ ყოველ ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით საშუალოდ მიღებულია 2,25 ტონა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი დასახლებული პუნქტის მხვნელ-მთესველებმა ქერის გაცილებით მეტი მოსავალი მიიღეს.

თუ ამ მაჩვენებლებს წინა წლის მონაცემებს შევადარებთ, წელს მუნიციპალიტეტში ქერის ნათესები გაზრდილია 1293 ჰექტარით (შარშან იყო527 ჰა), ხოლო მოსავლიანობა 2082 ტონით (შარშან იყო 2018 ტონა) თუმცა, შარშანდელთან შედარებით წელს შემცირებულია საშუალო საჰექტარო მაჩვენებელი (შარშან იყო4,0 ტონა).

10 აგვისტოს მდგომარეობით 5430 ჰექტარზე დათესილი საშემოდგომო ხორბლის ნათესებიდან უკვე მომკილი იყო 5200 ჰექტარი, ანუ მთლიანი ნათესი ფართობების 95%. აქედან მთლიანობაში გამოლეწილია 10900 ტონა მარცვალი. ანუ საშუალოდ ჰექტარზე 2 ტონა.

ბ. დაბახიშვილი

ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები

ახალი სასწავლო წლისათვის ემზადებიან

ამა „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის“ სკოლამდელი დაწესებულებების“ გაერთიანებაში (დირექტორი ელზა გილაშვილი) 26 სკოლამდელი დაწესებულებაა, სადაც ბოლო წლებია მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა და დღესაც გრძელდება. რეგიონული განვითარების ფონდის პროექტით მოხდა საგარეჯოს №2 და ბადიაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობების სრული რეაბილიტაცია.

დღეისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მიმდინარეობს მანავის №2 (ბურდიანის) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების კაპიტალური რემონტი.

გაზიფიცირებულია 23 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, აქედან 8 დაწესებულებაში მოწყობილია ცენტრალური გათბობა, 8 დაწესებულებაში არის გაზის გამათბობელი, 7 დაწესებულებაში კი ამჟამად გაზის გამათბობლის დასამონტაჟებელი სამუშაოები მიმდინარეობს.

საგარეჯოს №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ამოიცვალა ელექტროგაყვანილობის დაზიანებული წერტილები.

გასულ სასწავლო წელს ახლადგახსნილ საგარეჯოს №6 საბავშვო ბაღისათვის შეძენილია დიდი და პატარა სკამები, მაგიდები, მუსიკალური ინსტრუმენტი, მანავის №1 და საგარეჯოს №5 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისათვის – მაცივრები.

2016-2017 სასწავლო წლის I დღეს 1200 აღსაზრდელი შეაღებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულებების კარს.

დიდი ჩაილურის საბავშვო ბაღს სათამაშოები გადაეცა



ყოველ წელს საქართველოს მასშტაბით ყველა მუნიციპალიტეტს ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოეყოფა თანხა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განსახორციელებლად. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ხდება მოსახლეობის საჭიროებების განსაზღვრა და შერჩეული პრიორიტეტებიდან განსახორციელებელი პროექტების დაგეგმვა.

ადგილობრივი მოსახლეობა თავად ირჩევს იმ პრიორიტეტებს, რომელთა მოგვარებაც მოხდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში. 2015 წელს სოფ. დიდ ჩაილურში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოეწყო სარწყავი არხის სატუმბი სადგური, მორჩენილი თანხიდან 2016 წლის ზაფხულში დიდი ჩაილურის საბავშვო ბაღისთვის შეიძინეს სათამაშოები და საბავშვო ატრაქციონები.



„ინფრასტრუქტურა-2016“

ქეთევან წამებულის ქუჩაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა

ქ. საგარეჯოში, ქეთევან წამებულის ქუჩაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. პროექტის ფარგლებში მოასფალტდა 870 მ სიგრძის მონაკვეთი და მოეწყო სანიაღვრე არხი. სამუშაოების დასრულების შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობისთვის გადაადგილება უსაფრთხო და კომფორტული გახდა. აღნიშნული ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის რეგიონალური განვითარების ფონდიდან 335 980 ლარი იყო. გამოყოფილი. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გზირიშვილმა ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად აღნიშნულ ქუჩაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობა დაათვალიერა. უნდა აღინიშნოს, რომ ქეთევან წამებულის ქუჩაზე მსგავსი ინფრასტრუქტურული პროექტი არასდროს განხორციელებულა.



უდაბნოში სასმელი წყალი მოვიდა

პროექტი, რომელიც სოფელ თოხლიაურიდან სოფელ უდაბნოში სასმელი წყლის მიყვანას ითვალისწინებდა 4 369 000 ლარით იყო დაფინანსებული. მაგისტრალის სიგრძემ 27 კმ შეადგინა, რამაც მისი საერთო სიგრძე 11 კილომეტრითაც შეამცირა და მაგისტრალის ადგილმდებარეობაც გაამარტივა. უდაბნოში 235 აბონენტი სასმელი წყლის მუდმივს კი არა გრაფიკით მიწოდებულსაც წლები ელოდა. ახლა კი მათ წყალი გამართულიინფრასტრუქტურით მიეწოდება.

დასასრული
(დასაწყისი იხ. №13-14-ში)

22 აპრილს --„დედამიწის საერთაშორისო დღეს“, სახლის „ლიდერთა კლუბის” წევრებმა და თანამშრომლებმა დაასუფთავეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ბაღი და დარგეს ნერგები და ყვავილები. აპრილში გამართულ უმცროსკლასელთა რიგით მე–6 ინტელექტთა-მაშში, რომელშიც მონაწილეობდნენ საგარეჯოს № 1,პატარძეულის, წყაროსთავის, მზისგულის, კაკაბეთის, უდაბნოს საჯარო და პატარძეულის ქართულ–ფრანგული ლიცეუმის უმცროსკლასელთა ინტელექტგუნდები. თამაშის თემა ზოგადი იყო. 1 ადგილი 18–18 ქულით დაიკავეს პატარძეულის საჯარო და პატარძეულის ქართულ-ფრანგული ლიცეუმის ინტელექტგუნდებმა, მე–2 ადგილი 16 ქულით დაიკავა საგარეჯოს № 1 საჯარო სკოლამ, მე–3 ადგილი 15–15 ქულით დაიკავა სამმა სკოლამ: მზისგულის, კაკაბეთის და წყაროსთავის საჯარო სკოლების გუნდებმა...მე–4 ადგილი 12 ქულით დაიკავა უდაბნოს საჯარო სკოლის გუნდმა...

2016 წლის 28 აპრილს საგარეჯოს კულტურის სასახლეში საგარეჯოს მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის „ლიდერთა კლუბის“, ბავშვთა ვოკალური სტუდიისა და საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლის „პატარა გარეჯელები“ს ინიციატივითა და მონაწილეობით ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი: „ერთად გადავარჩინოთ სიცოცხლე“...

მაისში გამართულ 2015–2016 სასწავლო წლის უფროსკლასელთა ბოლო ინტელექტთამაშში მონაწილეობდნენ საგარეჯოს № 1, მანავის, პატარძეულის, ხაშმის საჯარო სკოლების უფროსკლასელთა ინტელექტგუნდები... 1–ადგილი 15 ქულით დაიკავა მანავის საჯარო სკოლის გუნდმა, მე–2 ადგილი 14 ქულით დაიკავა საგარეჯოს № 1 საჯარო სკოლის გუნდმა, მე–3 ადგილი 9–9 ქულით დაიკავეს ხაშმის და პატარძეულის საჯარო სკოლების გუნდებმა.

2016 წლის 7 მაისს ქ. თბილისის მოსწავლე–ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში გაიმართა შემოქმედ მოსწავლეთა ლიტერატურული კონკურსის „კალმოსანი” მონაწილეთა დაჯილდოება. ამ კონკურსის წარმატებული მონაწილე გახლდათ საგარეჯოს მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის „ლიდერთა კლუბის” წევრი, საგარეჯოს, № 3 საჯარო სკოლის მე–8 კლასის მოსწავლე ნინო ბუზარიაშვილი (პედაგოგი ანა ჭიაბრიშვილი), რომელმაც საკუთარი ლექსები და მინიატურები წარადგინა კონკურსზე...

– ინტელექტთამაშის გამარჯვებულთა დაჯილდოება მეტ ინტერესს გაუჩენდა სამომავლოდ მოსწავლეებს...

– მართლაც ასეა. მაისის ბოლოს გამართულ უმცროსკლასელთა 2015–2016 სასწავლო წლის ბოლო, რიგით მე–7 ინტელექტთამაშში მონაწილეობდნენ საგარეჯოს № 1, № 2, მზისგულის, პატარძეულის და კაკაბეთის საჯარო სკოლების ინტელექტგუნდები. თამაშის გამარჯვებული 18 ქულით გახდა პატარძეულის საჯარო სკოლა.! მე–2 ადგილი 16 ქულით დაიკავა კაკაბეთის საჯარო სკოლის გუნდმა, მე–3 ადგილზე 14 ქულით გავიდა მზისგულის საჯარო სკოლის გუნდი, 13 ქულით მე–4 ადგილი დაიკავა საგარეჯოს № 1 საჯარო სკოლის გუნდმა, 9 ქულით მე–5 იყო საგარეჯოს № 2 საჯარო სკოლის გუნდი... 2015–2016 სასწავლო წლის უმცროსკლასელთა ინტელექტთამაშების სერია დასრულდა, 7–ვე თამაშის საერთო ჯამით —117 ქულით 1–ლი ადგილი დაიკავა პატარძეულის საჯარო სკოლის უმცროსკლასელთა გუნდმა, 100 ქულით მე–2 ადგილზეა საგარეჯოს № 1 საჯარო სკოლის გუნდი, 91 ქულით მე–3 ადგილი დაიკავა მზისგულის საჯარო სკოლის გუნდმა.

25 მაისს საგარეჯოს მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლში გაიმართა უფროსკლასელთა და უმცროსკლასელთა ინტელექტგუნდების დაჯილდოება. უფროს ასაკში 1–ლი ადგილი 62 ქულით დაიკავა მანავის საჯარო სკოლის გუნდმა, მე–2 ადგილი 61 ქულით დაიკავა საგარეჯოს № 1 საჯარო სკოლის გუნდმა და მე–3 ადგილი 52 ქულით დაიკავა პატარძეულის საჯარო სკოლის გუნდმა. უმცროს ასაკში წლის შედეგებით 1–ლი ადგილი 117 ქულით დაიკავა პატარძეულის საჯარო სკოლის გუნდმა, მე–2 ადგილზე 100 ქულით გავიდა საგარეჯოს № 1 საჯარო სკოლის გუნდი, მე–3 ადგილი 91 ქულით დაიკავა მზისგულის საჯარო სკოლის გუნდმა. 1–ლ ადგილზე გასულ გუნდებს გადაეცათ დიპლომები და ფასიანი საჩუქრები, ყველა მონაწილე გუნდებს, გუნდების წევრებს, პედაგოგებს და სკოლებს გადაეცა დიპლომები და მადლობის ფურცლები 2015–2016 სასწავლო წლის ინტელექტთამაშებში აქტიური მონაწილეობისათვის. ღონისძიება გაიხსნა მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის მიერ მომზადებული პრეზენტაციით, სადაც ასახული იყო ყველა თამაშის სახალისო ფოტოები, დასასრულს კი პატარძეულის საჯარო სკოლის უმცროსკლასელთა ინტელექტგუნდის წევრმა, „ლიდერმა” ნიკოლოზ გვარიძიშვილმა წარმოადგინა თავიანთი წარმატება–წარუმატებლობის ამსახველი პრეზენტაცია.

გარეჯელები

აქ ინტელექტუალებად, შემოქმედ ადამიანებად იზრდებიან, ყალიბდებიან

– თქვენს სახლს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მრავალფეროვნება და ხალისი შეაქვს. არც ახლა ყოფილა უინტერესო...

– ეს მართლაც ასეა, 1 ივნისი მრავალფეროვანი პროგრამით აღინიშნა: საგარეჯოში: გაიმართა საჭადრაკო ბლიც-ტურნირი, რომელიც საგარეჯოს № 1 საჯარო სკოლის მოსწავლემ, საქართველოს ჩემპიონმა ნიკა კევლიშვილმა ჩაატარა, გაიმართა მინი-გარბენი საგარეჯოს მე-3 სკოლის ტერიტორიიდან ცენტრალურ მოედნამდე,. გარბენის მონაწილეები დაჯილდოვდნენ სიგელებით და 1-ლ, მე-2 და მე-3 ადგილზე გასულ მორბენალებს გადაეცათ მედლები... გაიმართა ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საგარეჯოს № 1, №2, № 4, პატარძეულის, გიორგიწმინდისა და მანავის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა, ცენტრალურ მოედანზე უამრავი პატარა ხატავდა მუნიციპალიტეტის სკოლებიდან და საბავშვო ბაღებიდან. სადღესასწაულო კონცერტი გახსნა საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანებასთან არსებულმა ბავშვთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „პატარა გარეჯელები” (ხელმძღვანელი ბექა დვინაშვილი). კონცერტში მონაწილეობა მიიღეს საგარეჯოს ბავშვთა ვოკალური სტუდიის „სით ვოისი”-ს პატარა მომღერლებმა --ხელმძღვანელები ირინა ბაირამაშვილი და თეა ხატიაშვილი, ბავშვთა ვოკალური სტუდიის „მი-რე-ლა”-ს პატარა მომღერლებმა -- ხელმძღვანელი მარინა ურდულაშვილი, ყანდაურის საჯარო სკოლასთან არსებული ბავშვთა ვოკალური სტუდიის „ჭიამაია”-ს პატარა მომღერლებმა

ხელმძღვანელი მაია სირბილაშვილი. საკონცერტო პროგრამა მიეყვადათ „ლიდერთა კლუბის” წევრებს მარიამ დურგლიშვილს და ნიკოლოზ გვარიძიშვილს. კონცერტის მიმდინარეობის პერიოდში ყველა მონაწილეს და საერთოდ ყველა პატარას გადაეცა ბუშტები და ნაყინი, რომელიც მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სამსახურის მიერ იყო ორგანიზებული. ჩვენს სადღესასწაულო ღონისძიებას შემოუერთდა აგრეთვე საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საგარეჯოს ფილიალის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრი (მენეჯერი მაია ალექსიშვილი) თავის მოხალისეებთან ერთად და კიდევ უფრო მეტი ელფერი შესძინა ჩვენს სადღესასწაულო პროგრამას. ეს იყო სხვადასხვა სამსახურების თანადგომით და ხელშეწყობით ჩატარებული ერთი ლამაზი დღე, რომელიც ჩვენ ყველამ ვაჩუქეთ გარეჯელ პატარებს..

– ივნისი მართლაც დატვირთული იყო საინტერესო ღონისძიებებით...

– 5 ივნისს საგარეჯოს მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის „ლიდერთა კლუბის” წარმომადგენლები ანნა ქურხული და ეთერ ტეტიაშვილი და საგარეჯოს ბავშვთა ვოკალური სტუდია „მი–რე–ლა” / ხელმძღვანელი მარინა ურდულაშვილი ვიმყოფებოდით ქ. თბილისში საქართველოს მოსწავლე–ახალგაზრდობის სასახლეში, სადაც მონაწილეობას ვიღებდით სასახლის საერთაშორისო ურთიერთობათა კაბინეტის მიერ დაგეგმილ პროექტში „ მე ვიქნები ჩემი ქვეყნის მეგზური”. პროექტში მონაწილეობდნენ ქ. თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ლაგოდეხის, სიღნაღის, სენაკის, მარნეულის, საჩხერის, ბორჯომის,წეროვანის მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლებისა და სოხუმის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სახელოვნებო განყოფილების მიერ მომზადებული მოსწავლეები. თითოეულმა მონაწილემ წარმოადგინა პრეზენტაციები თავიანთი მუნიციპალიტეტების ღირსშესანიშნაობების შესახებ და ამავე დროს მხატვრული ნომერი. ჩვენმა პრეზენტატორებმა ძალიან საინტერესო პრეზენტაცია და ვიდეორგოლი წარმოადგინეს ჩვენი მუნიციპალიტეტის სავიზიტო ბარათის „დავით გარეჯი“-ს შესახებ და დამსწრე საზოგადოების მოწონება დაიმსახურეს... ასევე დიდი ოვაცია ჰქონდათ ანსამბლი „მი–რე–ლა”–ს პატარა მომღერლებს. სასახლის დირექციამ მონაწილე ბავშვები სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა. მადლობის ფურცლები გადაეცათ პედაგოგებსაც... ღონისძიება გააშუქეს ტელეკომპანიებმა: „იმედი“ და „მაესტრო“. ეს პროექტი წარმატებით განხორციელდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბატონ გიორგი გზირიშვილს ხელშეწყობით --კერძოდ --- მონაწილე ბავშვების ტრანსპორტირების დაფინანსებით...

13– 17 ივნისის ჩათვლით „ლიდერთა კლუბის“ ძველი და ახალი თაობა მუშაობდა საზაფხულო დღის ბანაკის გეგმებსა და პროექტებზე.

21 – 25 ივნისს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მიმდინარეობდა „ლიდერთა ბანაკი“.

ბანაკის მონაწილეებს ჩაუტარდათ ტრენინგები თემებზე: „როგორ დავწეროთ კარგი პროექტი“ / თამარ ჯაბადარი /, როგორ შევადგინოთ რეზიუმე -„მშვიდობის კორპუსის“ მოხალისე ქეთი ო“ნეილი, როგორი უნდა იყოს ლიდერი --ქეთი ო“ნეილი, სალომე ჯაბადარი, თამარ არაბული, როგორ ვიმუშაოთ შშმ პირებთან --ანანო ქურხული, სალომე ჯაბადარი; როგორ დავგეგმოთ მასობრივი ღონისძიებები --ნარგიზ ნადირაშვილი და ირინე დრეიძე, როგორ გამოვიყენოთ სოციალური მედია - ანანო ქურხული... რას ნიშნავს, იყო „მოხალისე“ -- რიმა ბერიძე --„მშვიდობის კორპუსის“ წარმომადგენელი.

– ქ-ნო თამარ, ეკოლოგიაზე თქვენი მოსწავლეების ზრუნვამ მთელი ქალაქი და არა მარტო ქალაქი მოიცვა...

– 27 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით მიმდინარეობდა ეკოლოგიის საკითხებით დაინტერესებული ბავშვების ბანაკი, ბანაკს ხელმძღვანელობდა მოხალისეობრივ საწყისებზე საგარეჯოს № 3 საჯარო სკოლის პედაგოგი ლელა გუშარაშვილი. ყოველი დღე იყო ძალიან საინტერესო, მონაწილეებმა საინტერესო ინფორმაციები მიიღეს სხვასხვა ეკოლოგიურ თემებზე, ნახეს ბევრი ფილმი, იმსჯელეს, მოამზადეს პოსტერები, რომლებიც ქუჩებში გამოაკრეს, განსაკუთრებული დღეც ჰქონდათ ბანაკის მონაწილეებს – 30 ივნისი, როდესაც მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს ეწვია „მშვიდობის კორპუსის“ საქართველოს წარმომადგენლობის გენერალური დირექტორი სტივენ სმიტი მეუღლესთან ერთად, „მშვიდობის კორპუსის“ ორგანიზაციული

განვითარების განყოფილების მცირე გრანტების კოორდინატორი გულიკო დემეტრაშვილი, ქეთი ჩოგოვაძე - USAID Georgia-ს წარმომადგენელი, მათ მონაწილეობა მიიღეს ლიდერებისა და ეკო-ბანაკის მიერ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოხალისესთან ერთად დაგეგმილ დასუფთავების აქციაში, დასუფთავდა თვალთხევის მიმდებარე სანაპირო, გაიწმინდა სეტყვისგან ჩამოტეხილი ტოტებისაგან... ბატონი სტივენი აქციის შემდეგ ესაუბრა ბანაკის მონაწილეებს ეკოლოგიის პრობლემებსა და ჯანსაღ გარემოზე, მოხალისეობაზე...

ეს დღე მნიშვნელოვანი იყო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისათვის კიდევ იმით, რომ ჩვენს ბანაკს და ლიდერებს ეწვივნენ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი***

გიორგი გზირიშვილი, ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი*** **არჩილ ჯაბადარი,** ***ახალგაზრდული სამსახურის წარმომადგენლები:*** **ძეთი ხაბაზიშვილი, ნინო მეზვრიშვილი, ირაკლი თულაშვილი და ლაშა იაკობიძე** ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“ (People in Need) და ახალგაზრდული კომიტეტის ერთობლივი ახალგაზრდული სამოქმედო გეგმის მიხედვით მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს საჩუქრად გადმოეცა მუსიკალური ცენტრი, მიკროფონები, გიტარა, ტამტამი და ფანდური, რამაც ძალიან გაახარა ჩვენი ბავშვები და რისთვისაც უდიდეს მადლობას ვუხდით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ გიორგი გზირიშვილს და არასამთავრობო ორგანიზაციას „ადამიანი გაჭირვებაში“ (People in Need Georgia).

შრომითი საქმიანობის და ემოციური შეხვედრების შემდეგ საბანაკო დღე გაგრძელდა, ლიდერებმა მოამზადეს პოსტერები და პერფომანსები თავისუფალ თემაზე, თუმცა გამოყენებული იქნა საბანაკო ეკო-თემატიკაც.. ლიდერებმა მოამზადეს სპეციალურად ნინოწმინდა-პატარძეულისაკენ მიმავალ ავტობუსის გაჩერებასთან

დასადგმელი „ნაგვის ურნა-რეკლამა“, რათა მგზავრებმა ტრანსპორტის მოლოდინისას ნაგავი ჩაყარონ მოპირდაპირე მხარეს მდგომ ბუნკერებში და არ დაანაგვიანონ გარემო..

ეკო ბანაკის ბოლო დღეს მომზადდა პერფომანსები ჯგუფებში, მოეწყო პრეზენტაციები, ყველა ჯგუფმა ერთად მოამზადა ფლეშმობი. ბანაკი დაიხურა, ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი.

– ახლა სასკოლო არდადეგებია, მაგრამ როგორც ჩანს, მოსწავლეები კვლავ აგრძელებენ თქვენთან ნაყოფიერ საქმიანობას...

– 4 ივლისიდან 8 ივლისის ჩათვლით მიმდინარეობდა ინგლისური ენის შემსწავლელი ბანაკი. ბანაკს ხელმძღვანელობდნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინგლისური ენის კლუბის ხელმძღვანელი თამარ მათიაშვილი და „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისე ქეთი ო'ნეილი. ბანაკის გახსნა დაემთხვა ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს. ამ დღისათვის ჩვენს ბანაკს შემოუერთდა საგარეჯოს № 1 საჯარო სკოლის მოხალისე ბეა ტიჩინსკიც, რომელმაც ძალიან საინტერესო პრეზენტაცია მოუმზადა ბავშვებს, ქეთი და ბეა ამ დღის აღსანიშნავად ამერიკული ნუგბარით გაუმასპინძლდნენ ბანაკის მონაწილეებს. ინგლისური ენის ბანაკის ყოველი დღე იყო ძალიან საინტერესოდ დაგეგმილი, ბავშვები ჯგუფებად იყვნენ დაყოფილები და მათთან მუშაობდნენ ლიდერები, ყოველი დღის თემის მიხედვით დგამდნენ პერფომანსებს ინგლისურ ენაზე, ხატავდნენ, აწყობდნენ ფილმების ჩვენებას და განხილვას... ბანაკის ბოლოს ყველა მონაწილე დაჯილდოვდა შესაბამისი სერთიფიკატით.

– ამ ზაფხულის შემოქმედი მოზარდებიც გამოიკვეთა...

– 9 ივლისს ქ. თბილისში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში ჩატარდა ლიტერატურული კონკურსი შემოქმედი ადამიანებისა და სახალხო მოქმელთათვის, რომელშიც ჩვენი 2 ლიდერი გოგონა თამარ ცხვარიაშვილი (პატარძეულის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე) და ნინო ბუზარიაშვილი (საგარეჯოს № 3 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე) მონაწილეობდნენ და ლაურეატები გახდნენ სასკოლო ასაკის მონაწილეთა შორის.

11 ივლისიდან მუშაობა დაიწყო ჟურნალისტიკით დაინტერესებული ბავშვების ბანაკმა, მას მოჰყვა ინტელექტუალთა და ხელოვნებისმოყვარულთა ბანაკები, რომელთაც 29 ივლისამდე გასტანა, და რომელთა მიმდინარეობის შესახებ მოგვიანებით მოგაწვდით ინფორმაციას...29 ივლისს გაიმართა ზაფხულის დღის ბანაკის დახურვა, ბანაკის ყველა მონაწილე და ლიდერები დაჯილდოვდნენ სერთიფიკატებით და მადლობის ფურცლებით.

„ხელოვნება თავად უკვდავებაა“

თვითნასწავლი შემოქმედის 50 საუნჯე

გიორგი (ცაცა) ზულიაშვილი:

— მათში მთელი ჩემი და ქართული სულის ნაწილი მაქვს ჩაქსოვილი...

ხეზე კვეთის მანაველი ოსტატისა და შემოქმედის გიორგი (ცაცა) ზულიაშვილის სახელი კარგადაა ცნობილი არა მარტო საგარეჯოში, არამედ საქართველოს მასშტაბითაც. ამ სფეროში მისი პირველი ნამუშევრები გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან გამოჩნდა. მანამდე ბავშვობიდანვე ხატავდა ფანქრით, გუაშით, აკვარელით. მოგვიანებით დაიწყო ლითონზე ჭედურობა, ბოლოს კი ხეზე კვეთას მიჰყო ხელი. მანავის ყოფილი საბჭოთა მეურნეობის შენობის I სართულზე არსებულ საქორწინო დარბაზის კარიბჭეს ახლაც ამშვენებს მისი ერთ-ერთი პირველი ორი ნამუშევარი „ბეჭდების გაცვლა“ და „პაპის დალოცვა“, რომლებსაც მაშინვე ეტყობოდა ნიჭიერი ხელოვანის ხელი და მნახველის ინტერესსა და ყურადღებას იქცევდა. მას შემდეგ აგერ უკვე რამდენი დრო გავიდა და უკვე 69 წლის ოსტატის საჭრეთელმა 50-ზე მეტი ერთმანეთზე უკეთესი და „ხელიხელსაგოგმანები“ ნამუშევარი შესძინა ჩვენი ქვეყნის საგანძურს. საგანძური აქ ტყუილად არ გვიხსენებია და მარტო ავტორის მოსაზრება არ გახლავთ. ცაცას ყველა ნამუშევარი მართლაც დიდი საუნჯეა, ისეთი საუნჯე, რომ 1994 წელს, როცა თელავში ფოლკლორის ფესტივალზე ფრანგებმა მისი ნამუშევრები ნახეს და მათი საფრანგეთში გამოფენა შესთავაზეს, საქართველოს მხარემ ამაზე უარი განაცხადა — ეს ნამუშევრები ქვეყნის საგანძურია, იგი მარტო ცაცას კი არა, საქართველოს კუთვნილებაცაა. ისინი რომ ახლა საზღვარგარეთ გავიდეს, იქიდან უკან აღარც ერთი დაგვიბრუნდებაო.

— მაშინ თელავში გამოფენაზე ჩემი 25 ნამუშევარი მქონდა წარდგენილი, — იხსენებს ახლა ცაცა, — საერთო ჯამში 70-80 ათას დოლარად იყო შეფასებული. — 70-80 ათასი არ მინდა, მაგის ნახევარი გადამიხადეთ და ყველას უკლებლივ ჩაგაბარებთ მუზეუმში — მეთქი, ვუთხარი ფესტივალის ორგანიზატორებს. მოგეხსენებათ, მაშინ ძალიან დიდი გაჭირვება იყო, მაგრამ კიდევ კარგი ეს არ მოხდა, ისე შევეთვისე და შევისისხლხორცე თითოეული ჩემი ნამუშევარი, რომ მათი გასხვისება ძალზე მეძნელება. ადრე ჩემი ნამუშევრები სხვებისთვისაც მიჩუქებია, მაგრამ ახლა უკვე აღარ მემეტება. მათში ხომ მთელი ჩემი და ქართული სულის ნაწილი მაქვს ჩაქსოვილი. ქართულ სულს ვამბობ იმიტომ, რომ ყველა ეს ნამუშევარი, რასაც ჩემს სახელოსნოში ხედავთ, ძირს ქართული ყოფიდან იღებს, ქართული ლექსი, ფოლკლორი — ზეპირსიტყვიერება, — აი, ის უშრეტი წყარო, რომლებიც მე მათ შექმნას შთამაგონებს. მაგალითად, „მენახშირე“. მისი შექმნა შთამაგონა გალაკტიონის ცნობილმა ლექსმა „ოქროყანელი ვარ მენახშირე“... „ვეფხვისა და მოყმის“ იდეა შესაბამისი ქართული ბალადიდან მოდის, ასევეა, „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, „სიბერე და ახალგაზრდობა“,„გოგო წყაროზე“ და სხვა.

— მე აქ რელიგიურ, ისტორიულ თემებზე შექმნილ ნამუშევრებსაც ვხედავ, ცხადია ეს ღვთისმშობლის ხატია, ეს ბრძოლის ამსახველი ნამუშევარი რაღას ეძღვნება?

— ეს ნამუშევარი „დიდგორია“. მიძღვნილი მაქვს დიდგორის ომში ქართველების დიდ გამარჯვებასთან. აი, კიბის ძირში ჩამჯდარი მთვრალი კაცი რომაა გამოკვეთილი, ალბათ მიხვდები ფიროსმანია და მას „მთვრალი ფიროსმანი“ ჰქვია. აგერ, იმ კედლიდან ვაჟა და მისი „შვლის ნუკრი“ შემოგვცქერიან. ამ აკვანზე დახრილი ქალის სურათს „იავნანა“ დავარქვი, „მარადისობა“ — ასე ჰქვია ნახატს, რომელზედაც საფლავის ქვაზე დაკლული ჭედილა და ქვის ძირიდან ამოზრდილი ხეა.. იგი სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულობის სიმბოლოა.

— ვერაფერს ვიტყვი, ყველა მართლაც ორიგინალური და თვითმყოფადი ნამუშევარია, ისეთი, ნებისმიერი გემოვნების დამთვალიერებელს რომ დააკმაყოფილებს და ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ საგამოფენო თუ სამუზეუმო სივრცეს დაამშვენებენ. საფრანგეთის გარდა, სხვა ქვეყნებიდანაც თუ გქონია შენი ნამუშევრების გამოფენის მოწყობაზე შემოთავაზება?

— საზღვარგარეთის ქვეყნებიდან არა, მაგრამ, ქვეყნის მასშტაბით არაერთი გამოფენა მაქვს მოწყობილი. 1994 წელს თელავში მომიწყეს პერსონალური გამოფენა „ხელოვნების სალონში“. ამავე წელს ვმონაწილეობდი საქართველოს ხალხური შემოქმედების დათვალიერებაში თბილისში და გამოფენა მქონდა შ. რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ფოიეში.

1995 წელს მომიწყეს პერსონალური გამოფენა „ქარვასლაში“. 1996 წელს თბილისში — „მედიკების სახლში“. 1997 წელს ქ. საგარეჯოში გამოფენა მომიწყო რაიონის კულტურის სახლმა. 1998 წელს „თბილისობაზე“ გამოფენილი იყო ჩემი ნამუშევრები. 2000-2001 წლებში რაიონის გამგეობამ თბილისში წერეთლის სახელობის საგამოფენო პავილიონში ტურისტული თანამშრომლობის ფარგლებში მომიწყო გამოფენა, რომელშიც მსოფლიოს 14 ქვეყნის შემოქმედი იღებდა მონაწილეობას. 2003 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივმა დარბაზმა“ გამოფენა მომიწყო საგარეჯოს მერიის სხდომათა დარბაზში. 2004 წელს ვმონაწილეობდი თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმში მოწყობილ ხალხური ფოლკლორის ფესტივალში, რომელიც „არტგენმა“ მოაწყო. 2005-2006 წლებში ვმონაწილეობდი თელავსა და გურჯაანში მოწყობილ ხალხური შემოქმედების ფესტივალებში, შემდგომ თბილისში მხატვარ მ. ბერძენიშვილის სახელოსნოში, რის შედეგადაც ჩემი ერთ-ერთი ნამუშევარი „მარანი“ შევიდა საქართველოს თვითნასწავლი მხატვრების კატალოგში.

2006-2007-2008 წლებში ვმონაწილეობდი ქ. სიღნაღში მოწყობილ საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენებში, სადაც წარდგენილი მქონდა სხვადასხვა ნამუშევრები.

2006 წელს პერსონალური გამოფენა მომიწყო თბილისის ნიკოლაძის სამხატვრო კოლეჯმა.

2007 წელს მონაწილეობა მივიღე „არტგენის“ მიერ ჩატარებულ ფოლკლორის ფესტივალში „მანავის ციხე“.

სხვადასხვა დროს ჩემი შემოქმედება გადაღებული აქვს ტელევიზიის I არხს, რუბრიკით „სოფელი ღონიერია“, ტელეკომპანია „იმედს“, — რუბრიკა „წუთისოფელი“ და „მზეს“, ასევე, სხვადასხვა წლებში ჩემს შესახებ დაიწერა რაიონულ პრესაში, მ.შ. 2005 წელს თქვენს მიერაც.

— მაშინდელი ჩვენი ინტერვიუს მიზეზი თქვენთვის ფოლკლორული დათვალიერება-ფესტივალის ლაურეატის წოდების მონიჭება გახლდათ. როდის მოხდა თქვენთვის, ბოლოდროინდელი ლაურეტის წოდების მონიჭება?

— მეორედ ლაურეატის წოდება მომენიჭა 2015-2016 წლებში შესრულებული ოთხი ნამუშევრის მიხედვით, რომლებიც წარდგენილი მქონდა ფესტივალზე, სადაც მათ დაიკავეს I ადგილი და ფულადი ჯილდო 800 ლარი ახლახან გადმომეცა. წოდების გარდა მონიჭებული მაქვს საქართველოს „მხატვართა კავშირის ხალხური ოსტატის“ წოდება და არჩეული ვარ მხატვართა კავშირის წევრად. გასული საუკუნის 80-იან წლებში დამასახელეს „იმედის“ გმირად და ა.შ.

— ამდენი დამსახურებისა და პოპულარობის მქონეს კერძო შეკვეთებიც გექნებათ?

— იშვიათად, მაგრამ კი. მაგალითად მქონდა შეკვეთა უკრაინელებისგან, რომელთაც დაათვალიერეს ჩემი ნამუშევრები. მე მათი შეკვეთა შევასრულე და გადავუგზავნე. ჩემი მოჩუქურთმებულია მანავის წმინდა ნიკოლოზის და ნათლისმცემლის, კაკაბეთის ეკლესიების კარებები. ამას გარდა, მასიური ხისგან ვამზადებ ხელჯოხებს სხვადასხვა გამოსახულებით, ყოველ შემკვეთს ვუმზადებ იმ ცხოველის გამოსახულებიან ხელჯოხს, რომელი ცხოველის წელშიაც არიან დაბადებული ისინი, ვაჩუ-

დასასრული მე-8 გვერდზე

სამუსიკო სტუდია „მი-რე-ლა“

აქედან სერიოზულ პროექტებსა და კონკურსებში

პირველად ისინი 2003 წელს გამოჩნდნენ საახალწლო კონცერტზე — ისე, უბრალოდ გაჟღერდა მათი სახელები: სალომე ქოქიური, მარი დარბაისელი, გიორგი თედიაშვილი, ზაზა ბუზარიაშვილი... იმ დღეს ყველა დარწმუნდა, ეს ბავშვები რაღაცის „სათქმელად“ უკვე თვითონ, თავიანთი შესაძლებლობებით იყვნენ მომზადებული, მაგრამ ჯერჯერობით ცალ-ცალკე, გათითოებულნი, ისევე, როგორც მაშინ ხდებოდა...

ბავშვები ძალიან ჩვეულებრივად, წინასაახალწლო ფუსფუსში საგარეჯოს სამუსიკო სკოლის ფორტეპიანოს კლასის პედაგოგმა მარინა ურდულაშვილმა (რომელიც ამავე დროს 1991 წლიდან არის სახალხო ანსამბლ „ჩინარის“ სოლისტი, წერს სიმღერებს) შეკრიბა და წარუდგინა მაყურებელს. შემდეგ კი თავად ბავშვებს ჰქონდათ სურვილი ერთად ყოფნის, ერთად მუშაობის... და პედაგოგმაც, რომელმაც პირველად გააერთიანა ისინი, ვეღარ გააწბილა პატარა მომღერლები და მათ მეცადინეობას შეუდგა, მაგრამ, პირობები, რომელიც აგერ 13 წელიწადია მათთვისაა სამეცადინოდ, არადამაკმაყოფილებელია ერთი უბრალო მიზეზის გამო — არ აქვთ მუდმივი სამეცადინო ოთახი, თუმცა პედაგოგი ამაზე არც წუწუნებს. მისთვის მთავარია ის, რომ აკეთებს იმას, რასაც მოსწავლეებისათვის სიხარული და წარმატებები მოაქვს. სწორედ ამაზე თავად პედაგოგი გვესაუბრება.

— მიზანი სტუდიის დაარსებისა იყო ნიჭიერი ბავშვების წარმოჩენა და ხელშეწყობა. იმ პერიოდისათვის საგარეჯოში არ არსებობდა არც ერთი სამუსიკო სტუდია, სადაც ბავშვები შეძლებდნენ თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენას.

— საინტერესოა, ვინ იყვნენ სტუდიის პირველი თაობა, თქვენი აზრით რა მისცა ამ ბავშვებს სტუდიაში მუშაობამ?

— პირველი თაობა, ვამბობთ, მაგრამ მათ დღესაც არ შეუწყვეტიათ ურთიერთობა ამ სტუდიასთან, უბრალოდ, ერთი მიზეზის გამო — ძალიან უყვართ ერთმანეთი. ბევრი საერთო აქვთ და უმთავრესი — მუსიკის სიყვარული. ესენი არიან: მარი დარბაისელი, გიორგი თედიაშვილი, სალომე ქოქიური, სალომე ჯაბადარი, ნინი მარგოშვილი, ხატია ლაფერიშვილი, გიორგი როჭიკაშვილი, მარი ნაცვლიშვილი, მარი ფირყულაშვილი, ნანუკა ელიზბარაშვილი, მადონა ქუმელაშვილი, ეთუნა ღრუბელაშვილი.

მუსიკალურ სტუდიას მონაწილეობა აქვს მიღებული როგორც რაიონულ, ისე რესპუბლიკურ ღონისძიებებში, აქტიურად არიან ჩართული სატელევიზიო სხვადასხვა პროექტებში. მაგალითად, გიორგი თედიაშვილი ერთ-ერთი სატელევიზიო პროექტის „ახალი ხმის“ მონაწილე იყო. სულ ახლახანს „იქს-ფაქტორის“ მონაწილე იყო ჩვენი სტუდიის მოსწავლე გიორგი ლაფაჩიშვიული და ამ პროექტებით დაინტერესებულებს საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ მათ შესაძლებლობებს. სტუდიამ ახლახანს მიიღო მონაწილეობა კონკურსში „მხიარული ნოტები“. მონაწილეობა გვაქვს მიღებული მუსიკალურ ფესტივალში „ზღვის ჰარმონია“, ასევე, თბილისის ესთეტიკური აღზრდის ცენტრის მიერ ორგანიზებულ მუსიკალურ ფესტივალში „თბილისობა-2011“, ასევე, ასოციაცია „იონ-კახეთის“ მიერ ორგანიზებულ ფესტივალში „ფრანკოფონია“, თელავში ამერიკის საელჩოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში. ამასთან, სტუდიამ ჩაატარა არაერთი საქველმოქმედო ღონისძიება და უმასპინძლა არაერთ ცნობილ ადამიანს. მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი იყო შეხვედრები ნანი ბრეგვაძესთან, გიორგი უშიკიშვილის სტუდიასთან, ნინი შერმადინთან, ანი სირაძესთან, გიორგი ჩიტაურთან,. საინტერესო იყო შეხვედრები ინგლისიდან ჩამოსულ ვალერიო სტივენსისთან, რომელმაც სტატია გამოაქვეყნა ინგლისურენოვან ჟურნალში და რომელიც 12 ქვეყანაში გამოდის. სტუდიის მოსწავლეებს ჩაწერილი აქვთ სიმღერა „ალილო“. სტუდიამ უკვე რამდენჯერმე უმასპინძლა პროექტის ფარგლებში „წარმატების ფორმულა“ ცნობილ და წარმატებულ ადამიანებს, სპორტსმენებს, საგარეჯოს ყოფილ მაჟორიტარ დეპუტატს პარლამენტში თინათინ ხიდაშელს.

ჩვენი სტუდია აქტიურად თანამშრომლობს საგარეჯოს „წითელი ჯვრის“ ორგანიზაციასთან, არაერთხელ ჩაგვიტარებია საქველმოქმედო კონცერტი საგარეჯოს ხანდაზმულებთან, „სათნოების სახლის“ ბენეფიციარებთან. ასევე საქველმოქმედო კონცერტი გვქონდა თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატში, რომელიც ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტით გაიმართა. ასევე აქტიურ მონაწილეობას ვიღებთ საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ღონისძიებებში. აღსანიშნავია, რომ სტუდიამ ფრანგულ ენაზე ითამაშა მიუზიკლი „ჩიკაგო“. ყოველ ახალ წელს ვმონაწილეობთ საახალწლო საშობაო კონცერტებში, რომლებიც იმართება მთაწმინდისა და მუშტაიდის პარკებში. 13 ივნისის სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებელ კონცერტში აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩვენმა სტუდიამ.

დასასრული მე-8 გვერდზე

მარადიულობაზე

წმინდა ბერი გაბრიელი
დარიგებები

სიკვდილი გარდაცვალებაა. გარდაცვალების ნუ გეშინიათ, იმ წუთსვე რომ განკითხვა მოდის, იმისი გეშინოდეთ. საშინელია უფლის წინაშე სამსჯავროზე წარდგომა. როდესაც გამოცდაზე გადიხართ, ღელავთ პროფესორის წინაშე, გული გიცემთ; აბა წარმოიდგინეთ, რაოდენ მეტია უფალი.

ღმერთი დაუსაბამო სიკეთე, დაუსაბამო სიმართლე და სიყვარულია. ვისაც სიკეთე და სიმართლე უყვარს, მას ღმერთი უყვარს, და ღმერთიც, ვით საკუთარ შვილს, ისე შეიყვარებს.

"ზოგი იტყვის სიყვარული მაქვსო. აბა ვინ მეტყვის რა არის სიყვარული, ვინ ჩასწვდება სიყვარულს?" - დასვამდა შეკითხვას გაბრიელ ბერი და თვითონვე პავლე მოციქულის სიტყვებით განმარტავდა: "სიყვარული სულგრძელ არს და ტკბილ; სიყვარულსა არა შურნ, სიყვარული არა მაღლოინ, არა განლაღნის, არა სარცხვინელ იქმნის, არა ეძიებნ თავისასა, არა განრისხნის, არად შეჰრაცხის ბოროტი, არა უხარინ სიცრუესა ზედა, არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა ზედა; ყოველსა თავს-იდებნ, ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ. სიყუარული არასადა დავარდების" (1 კორ. 13:4). "ესაა ნამდვილი სიყვარული, ამაშია ადამიანის ბედნიერება. სიყვარული მთავარია, მაგრამ ამაზე უფრო მთავარია, როგორ ვისწავლოთ ჩვენ ეს სიყვარული. ნურავის ეგონება, სიყვარული მხოლოდ თანდაყოლილი ნიჭია. სიყვარული ისწავლება და უნდა ვისწავლოთ. თუ თავი არ გასწირე ღვთისა და მოყვასისთვის, ისე არაფერი გამოვა".

სიყვარულს ვერ დაიმკვიდრებ თავგანწირვის გარეშე. ღმერთს ლიტონი სიტყვები არ უყვარს. ღმერთს უყვარს საქმე. კეთილი საქმე არის სიყვარული.

მოყვასის სიყვარული არის, როცა თქვენი მოყვასი სნეულია და შველა სჭირდება, წამალი კი, შორი გზიდანაა მოსატანი. შეიძლება დაგიღამდეს, ტყეც შეგხვდეს და მგელმაც შეგჭამოს. აი, თუ წახვალ ასეთ დროს მოყვასის საშველად, პირდაპირ მიხვალ უფალთან.

ყველაფერი რომ გქონდეს და სიყვარული არ გაგაჩნდეს, ჩათვალე, რომ არაფერი გაგაჩნია.

ყველა წესსა და კანონზე უპირატესი სიყვარულია.

შიო მღვიმელი ადამიანთა დიდი სიყვარულისთვის ჩავიდა მღვიმეში.

გიყვარდეთ ერთმანეთი. საქართველო სიყვარულმა უნდა გადაარჩინოს. ბოლო ჟამია, თქვენ მოესწრებით ანტიქრისტეს. უფალი მოგთხოვთ ღვთისა და მოყვასის სიყვარულს. ვინც შეინარჩუნებს - ის გადარჩება. ანტიქრისტე ყველგან გამეფდება, მხოლოდ საქართველოში ვერ დაიდგამს ტახტს.

სიმდაბლე გამძვინვარებულ ლომსაც კი ქედს მოახრევინებს.

ერთი კაციც რომ გძულდეს, საძაგელი ხარ ღვთის წინაშე.

შინაგანი ტანჯვის გზით უნდა მიაღწიოს ადამიანმა რწმენამდე და მოიპოვოს სიყვარული.

სიყვარულს ეგოიზმი უპირისპირდება. ეგოისტი არაფერს არ გასცემს. ყველაფერი თავისთვის უნდა. მთელი ქვეყნის სიმდიდრეც რომ მოიხვეჭოს, მაინც არ დაკმაყოფილდება.

ბოროტი კაცი როგორ უნდა შევიყვაროთ? ჰკითხეს გაბრიელ ბერს. - ბოროტება, ცოდვა შეიძულეთ, თვით ადამიანი კი გებრალებოდეთ და გიყვარდეთ. ღმერთმა უწყის, იქნებ ის ვინც ჩვენ გვძაგს, ხვალ ლოცვით, ცრემლით, მარხვით და სინანულით განიწმინდოს და ანგელოზთა მსგავსი გახდეს. ბევრი ყოფილა ასეთი შემთხვევა.

შენი მტერი უნდა გიყვარდეს, ხოლო ქრისტეს მტერი როგორ უნდა შევიყვაროთ?! მაგრამ არ უნდა გძულდეს, უნდა გეწყალებოდეს და აქედან მოდის სიყვარული.

ღმერთი ჩვენგან ითხოვს როგორც გულს, ასევე კეთილ საქმეებს. კეთილი ყველასავთვის უნდა გინდოდეს, მაგრამ სიკეთის კეთებასაც სიბრძნე სჭირდება, ვისაც შენზე მცირე აქვს, იმას რომ დაეხმარები, ის არის ღვთის წინაშე შეწირული, ღვთის ძალითა და სიბრძნით კეთდება ყოველი კეთილი საქმე.

სიყვარულით ყველა უნდა გიყვარდეს, მაგრამ თუ ვერ შესძელი ყველას სიყვარული, კეთილი მაინც ყველასათვის უნდა გინდოდეს.

როდესაც კეთილ საქმეს აკეთებ, ერთი საფეხურით აღიხარ, როდესაც სცოდავ, ჩამოდიხარ. ასეთი სვლაა მთელი ცხოვრება.

როგორ იქნება დამშვიდებული სული ადამიანისა, როცა განსაცდელშია მოყვასი?

თუ კაცს ავადმყოფი ჰყავს ოჯახის წევრი და მომვლელი თვითონ არის, მას ამ დროს წირვის მადლი სახლში აქვს.

შენს გაკეთებულ ჯვარსა და ხატზე რომ სხვა ილოცებს, ნახევარი მადლი შენზე გადმოდის.

თუ არ იცი მოყვასის სულიერი მდგომარეობა, რჩევას ნუ მისცემ, იქნებ შენი რჩევით დაიღუპოს კიდეც.

იცხოვრე ისე, რომ მარტო ღმერთს კი არა, ადამიანებსაც უყვარდე. ამაზე დიდი არაფერია.

მარხვა ცოდვების სინანულია, როცა საჭმელი არ გახსოვს.

ზოგი იტყვის - არ მაქვს ქალებზე ბრძოლებიო. რა სისულელეა. სანამ არის სქესით გარჩევა, ბრძოლებიც იქნება. მთავარია ვისაც უნდა და არ მიდის ქალთან, ითმენს ქრისტეს სიყვარულისთვის. აი ეს არის ღვაწლი.

ვაი, იმ ბერსა და მონოზონს, ვისაც თავისი ერის სატკივარი არ სტკივა.

როგორ შეიძლება გარეთ ვინმე გელოდებოდეს და შენ მშვიდად იყო. კარგ ბერს ქალის გული უნდა ჰქონდეს.

ნუ ზრუნავთ ხორცისთვის, იზრუნეთ სულისთვის, სული გადაირჩინეთ. ვინც ენასა და მუცელს სძლია, ის უკვე სწორ გზაზე დგას.

როდესაც საჭმელს სჭამ, უნდა გახსოვდეს მშიერი, მწყურვალი, გაჭირვებული, ამაშია სასუფეველის პოვნა.

ანტიქრისტეს მომხრეები ქუჩაში გახდილნი ივლიან. ქრისტიანები წესიერად ჩაცმულები იქნებიან და ამით განასხვავებთ ერთმანეთისგან. ქალი, მამაკაცის ტანსაცმელში ჩაცმული - შეჩვენებული იყოსო, წერია სჯულის კანონში. ადამიანის ჩაცმულობა მისი სულიერი მდგომარეობის გამომხატველია.

სასწაულები

კუკშა ოდესელი (1875-1964)

ყვავის მიერ გაჩენილი ლუკმა

ბერი კუკშას გადასახლებისდროინდელი მოგონებიდან:

„ეს იყო აღდგომას. გადასახლებაში გამოვლეილი ძნელბედობების შემდეგ მე ვიყავი ისეთი დასუსტებული, ქარი მაქანავებდა. არადა, მზე ანათებს, ჩიტები ჭიკჭიკებენ. თოვლი დნება. მე მივუყვები ზონას მავთულხლართების გასწვრივ, აუტანლად მშია, ხოლო მავთულხლართს მიღმა მზარეულებს სამზარეულოდან სასადილო ოთახისაკენ დაცვის თანამშრომლებისათვის თავზე შემოდგმული ლანგრებით გადააქვთ ღვეზელები. მათ თავზე კი ყვავები დაფრინავენ. მე ლოცვად დავდექი: „ყვავო, ყვავო, შენ ხომ კვებავდი უდაბნოში ილია წინასწარმეტყველს; მომიტანე რა, მეც ღვეზელი“ უცებ თავს ზემოთ მესმის: „ყვაყვა!“ და ჩემს ფეხებთან ეცემა ღვეზელი, რომელიც ყვავმა ააციცქნა მზარეულს ლანგრიდან. მე ავიღე ღვეზელი, თვალცრემლიანმა შევწირე მადლი უფალს და მოვიკალი შიმშილი.“და.

ჯვრისწერისას

მონაზონი ს. ყვებოდა, რომ მამა ლავრენტი არასოდეს არ რჩებოდა ჯვრისწერაზე, ერთხელ კი დარჩა. როდესაც ლოცვა მოათავა, თქვა:

— ეს იყო ნამდვილ უმანკოთა წყვილი. ვხედავდი, სულიწმინდა როგორ გადადიოდა ერთიდან მეორეზე და თვალების გამომეტყველებაც კი ეცვლებოდათ!

შეგონება თბილისელი ქალებისთვის

50-იან წლებში ჩვენი მორწმუნე ქალები რუსეთში დადიოდნენ სქემ-იღუმენ კუკშასთან. ეს იყო მადალი სულიერი ცხოვრების მამა, რომელსაც მასთან მისული ადამიანების აზრების წაკითხვაც შეეძლო. „წავიდეთ, — თქვეს ერთხელაც, — წმინდა კაცი მოვინახულოთო,“ სულ შვიდნი იყვნენ. მივიდნენ, ჯერ სიტყვაც არ ქონდათ ნათქვამი, სქემ-იღუმენმა კი მიმართა: „რაო, თბილისელო დედაკაცებო, ცოდვილი კუკშას სანახავად ჩამოხვედით?! თქვენთან კი, ახლოს მთებში ორი მნათობი ბრწყინავს, იქ წადით და მათგან მოიკრიბეთ სულიერი ძალა!“ მხოლოდ სახელები არ უთქვამს. როგორც ჩანს, იგი ჩვენს ბეთანიელ მამებთან, მამა გიორგისთან და მამა იოანესთან სულიერად იყო დაკავშირებული. თბილისის მახლობლად მთებში ორი მნათობი სხვა არავინ შეიძლება ყოფილიყო, თუ არა ეს ჩვენი ორი ბერი.

„ჭილოფში ამოცნობილი“ გენერალი

პოჩაევის ლავრას სტუმრობდა სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული ერთი გენერალი და ცნობისმოყვარეობით უცქერდა თუ როგორ იღებდა ბერი აღსარებებს.

უეცრად კუკშამ თავისკენ იხმო იგი და კარგა ხნით გაუბა ლაპარაკი.

გენერალი დაშორდა ბერს მთლად გაფითრებული, უაღრესად აღელვებული და იმავ დროს გაოგნებული. ხმამაღლა ამბობდა ყველას გასაგონად:

— ეს ვინ ყოფილა, კაცო? საიდან იცოდა ყველაფერი?! როგორ მამხილა ჩემს მიერ ჩადენილ ყველა საქციელში.

„წარსულის იდუმალებაში“

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი – ქართველთა წმინდა ადგილი და მთავარი დასაყრდენი

ქართველთა წინაპრები ეთნიკურად მუდმივად დაკავშირებული იყვნენ ისტორიულ პალესტინასთან ხალხთა დიდი გადანაცვლებების ხანიდანვე მჭიდრო კავშირში იყვნენ ერთმანეთთან. ეს იცოდნენ ებრაელებისა და ქართველების წინაპრებმაც, ეს იცოდნენ პალესტინის დღევანდელმა მცხოვრებლებმაც. ამას ადასტურებს მათი ზნე-ჩვეულებებიც და მათი დღევანდელი ეთნიკური ყოფაც.. ისე, როგორც ქართველებს პალესტინა, ასევე ებრაელებს საქართველო ანდამატივით იზიდავდა და იზიდავს დღესაც.

ამიტომ შემთხვევითი არ იყო, როცა საქართველოს სახელმწიფოს სიძლიერის, როგორც V საუკუნის, ასევე მზე-თამარის მეფობის ხანაშიც პალესტინა მიჩნეული იყო ქართველების II სამშობლოდ. ამას ადასტურებს თუნდაც ქართველ მეფეთა დინასტიური აბრევიატურა. „იესიან, დავითიან, სოლომონიან...“ ასევე რელიგიური თვალსაზრისით, იერუსალიმის ჯვრის მონასტრისადმი სიყვარული.

ქართველები პირველები იყვნენ იესო ქრისტეს უტყუარი სიყვარულის გამო. ებრაელების შემდეგ პირველებმა ააგეს იერუსალიმში ჯვრის მონასტერი. ასევე პირველი ქართული კოლონია-დასახლება – ვახტანგ გორგასლის ბრძანებით დააარსეს იერუსალიმში ქართული დასახლებები. ყოველი ქართველი მეფის თუ დიდებულის სურვილი იყო იესო ქრისტეს საფლავის მახლობლად დაეკრძალათ მათი ნეშტი, ამიტომ შემთხვევითი სულაც არ ყოფილა მზე-თამარის ანდერძი, მისი სიკვდილის შემდეგ, მისი ნეშტი იერუსალიმში იესო ქრისტეს მოწამებრივი საფლავის – გოლგოთას მახლობლად დაეკრძალათ.

სწორედ ამ დიდი ისტორიული ფაქტის აღნიშვნით გვინდა „გარეჯის მაცნეს“ მკითხველებს მივაწოდოთ ზოგიერთი ცნობა თამარ მეფის იერუსალიმში გადასვენების შესახებ. იტალიის არქივებში ქართველი ისტორიკოსების მიერ აღმოჩენილი მასალა თამარ მეფის პალესტინაში – იერუსალიმში გადასვენების შესახებ. ამ ისტორიული დოკუმენტის ავტორია XIII საუკუნის ფრანგი ჯვაროსანი რაინდი „გი... დე ბუა“.

აი, რას სწერს ფრანგი ჯვაროსანი რაინდი გი დე ბუა, რომელიც საგანგებოდ შეინახა თავის არქივში საფრანგეთის ქალაქ ბეზანსონის არქიეპისკოპოსმა ამადე დეტრემლემ.

ფრანგი რაინდის ამ წერილში წერია, რომ იერუსალიმში მიმავალ ქართველთა ლაშქარს, რომელსაც პალესტინაში თან მიჰქონდა თამარ დედოფლის ნეშტის ძვლები და იერუსალიმში შესაწირი ქართული განძი, წინ მიუძღოდა საქართველოს ახალგაზრდა მეფე, ძლევამოსილი ქართული ლაშქრით. შემდეგ ფრანგი რაინდი წერს, რომ ამ ქართულმა ლაშქარმა გაიარა რა ფრანგი ჯვაროსნების კონტროლირებადი ტერიტორია, გზა განაგრძო იერუსალიმისაკენ. იტალიიდან გამოგზავნილ საარქივო მასალებში წერია, რომ ამ საარქივო დოკუმენტით ფრანგი რაინდი წერს, რომ ქართველთა ლაშქარმა მრავალი დაბრკოლება გადალახა, ვიდრე საქართველოს ახალგაზრდა მეფე დედის ანდერძს სისრულეში მოიყვანდა, მაგრამ რა გზით შეასრულა და როგორ შეასრულა დედის ანდერძი, ეს არ ჩანს კონკრეტულად. ძიება გრძელდება და ქართველი მკვლევარები როგორ შეძლებენ ძიების დასრულებას, ეს მომავლის ამბავია. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ, როდესაც თამარ მეფე გარდაიცვალა 1213 წლის 18 იანვარს, მისი ცხედრის დაკრძალვის ადგილი ძლიერ იყო გასაიდუმლოებული. მისი ცხედარი ჯერ დროებით დასვენებული იყო მცხეთაში სვეტიცხოვლის მეფეთა სავანეში, მერე იქიდან ქუთაისში გელათის მეფეთა აკლდამაში იყო დასვენებული. ხოლო შემდეგ მისი ძვლები, სხვა საგანძურთან ერთად მეფე ლაშა გიორგიმ სპეციალურად მომზადებული, გაწვრთნილი ამალით იერუსალიმში წაასვენა. გოლგოთაზე, იესო ქრისტეს საფლავის მახლობლად უნდა დაესაფლავებინათ. ასევე საიდუმლო ვითარებაში, მაგრამ სწორედ ეს ადგილი და გარემო ფრიად გასაიდუმლოებელი და გამოსაძიებელია. ასევე გასაიდუმლოებულია შოთა რუსთაველისა და სხვა დიდებულების იერუსალიმში გადასვენების გარემოებანი, რომელთა გამოკვლევა მომავლის საქმეა.

ალექსანდრე ელერდაშვილი,
მწერალი და სწავლული ისტორიკოსი.

ცრემლის კუთხე

„ჩემს გულში სათლად ანთიხარ!!..“

ანი ხითარიშვილი საგარეჯოს II საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლეა. ორი წლის წინ საფიცარი მამა უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა... ცა ჩამოიქცა, ფერები დაკარგა სამყარომ... ვეღარ უძლებდა დედის გულში ჩახვეულ მწუხარებას, ძაძითშემოსილი ბებიის ზღვარსგადასულ გლოვას... მას შემდეგ ორწელიწადნახევარი გავიდა, ყოველი ცისმარე დღე ისევ „დათო, დათოს“ ძახილით იწყება და მთავრდება...

ძალიან უნდა ხშირად არ იფიქროს მამაზე, არ იტიროს, თავისზე უმცროს ძმასაც უმალავს ცრემლებს, მაგრამ... ზოგჯერ ფურცელს ანდობს თავის ნაფიქრალს, დარდსა და ვარამს... სწორედ ამ განცდებსა და წარსულის ლამაზი დღეების გახსენებაში აღმოაჩინა, რომ ღმერთია ყველაფრის შემოქმედი, ღმერთია სიხარული, სიყვარული და მასზე ძლიერი, ლმობიერი და მშობლიური არაფერია ამქვეყნად.

ანიმ თავისი ნააზრევი ჩვენთან მოიტანა. ჩვენ კი თქვენ გაგაცნობთ, ძვირფასო მკითხველო.

რა რთულია ცხოვრება, რა რთულია გულის იმ კუნჭულში მიმალული გრძნობის დაცვა, გაფრთხილება, როცა ყველა ჰგონია, რომ რადაც ფიზიკური ტკივილი გაუხეხს. არადა, ეს სულიერი ტრავმაა. ხანდახან ცხოვრება მძაფრსიუჟეტიან ფილმს ჰგავს, მაგრამ ფილმში ეს მხოლოდ წუთები, წუთები, საათებია, რეალურ ცხოვრებაში კი დღეები, კვირები, თვეები, წლები და იქნებ მთელი ცხოვრებაც. ერთი და იგივე ტკივილი... ტკივილი, ცრემლს რომ გადენს ჩუმად, მალულად, ყველას თვალთაგან მოფარებულს. აი, ეგ ცრემლი აჭკნობს მთელ გულს. რა რთულია საკუთარ თავს შესძახო, ცხოვრება გააგრძელე, მაშინ, როცა არაქათგამოცლილი ხარ, როცა საკმაოდ რთული რამ გდევს თან. არ გასვენებს... გინდა რომ იტირო, მაგრამ ვერ ტირი. გინდა რომ იღრიალო, მაგრამ ვერ ღრიალებ. მაგრამ, რაც მთავარია, რაც ქართველმა ერმა არ უნდა დავკარგოთ, რწმენა და იმედია, რადგან ყველაზე დიდი შეცდომა, ამქვეყნიური ცოდვა უიმედობაა.

ვილოცოთ! ვილოცოთ არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ სულიერი საზრდოსათვის. დარწმუნებული ვარ, რაც გულით გწადია, რასაც მართლა ფიქრობ, რომ მოხდება და გწამს, ის ოცნება ყოველთვის ახდება. გჯეროდეთ უფლის! გჯეროდეთ სიყვარულის! რადგან პირველი სიყვარული უფალია! გჯეროდეთ სასწაულების... მოულოდნელი ბედნიერების... მოუხადეთ უფალს მადლობა ყოველი დღისათვის და ნახავთ, თქვენი ცხოვრება როგორ გაფერადდება. რთულია, ასე იმედდაკარგული იჯდე და წერდე, ფურცლებს ანდობდე შენს ტკივილს. ალბათ, იფიქრებს კიდეც კაცი – არც ლოცვა, არც რწმენა, არც არაფერიო. ამ მომენტში ყველაზე რთულია საკუთარი თავის ხელში აყვანა. კი, რთულია ცხოვრება. ძნელია იარო ისე, რომ ფეხი არაფერს წამოჰკრა. მაგრამ, რატომღაც მგონია, რომ ყველაზე მეტად ის ადამიანები იჩაგრებიან, ვისაც ყველაფერი გულთან ახლოს მიაქვთ. ის ხელები, რომლითაც ბედნიერების, ანდა მწუხარების ცრემლს იწმენდ, ჭკნება, ძარღვებით იქსელება და ამ ხელებსაც ლოდინის მეტი არაფერი შეუძლიათ. ყველაზე რთული გულმოკლული, სულით ობოლი ადამიანის ნუგეშია. მას მხოლოდ საყვარელი ადამიანი დააწყნარებს. ხანდახან ლოდინიც, სიყვარულიც, სითბოც, ყველაფერი გბეზრდება ადამიანს, თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, ლოცვა ჩვენი დაუმარცხებელი იარაღია, ლოცვა მთებს დასძრავს, დიდია მისი ძალა. ბრმას თვალს აუხელს და მუნჯს დაალაპარაკებს. მთავარია გჯეროდეს, გწამდეს...

დანარჩენი უფალმა იცის... ენდეთ.

ანი ხითარიშვილი

აგვისტოს ომში დაღუპულ გმირებს პატივი მიაგეს

8 წელი გავიდა აგვისტოს ომიდან... ამ დღესთან დაკავშირებით ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ*** **გიორგი რევაზიშვილმა**, ***საკრებულოს თავმჯდომარემ*** **ფრიდონ ბურდულმა** და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების რევაზ მამისაშვილის საფლავი სოფ. მარიამჯვარში და გიორგი კირაკოზაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი სოფ. ჩაილურში ყვავილებით შეამკეს, მათ ხსოვნას პატივი მიაგეს და ოჯახის წევრებს ტრადიციულად ფულადი დახმარება გადასცეს. გიორგი კირაკოზაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ მემორიალთან სოფ. ჩაილურის სკოლის მოსწავლეებმა ომში დაღუპული გმირების საპატივსაცემოდ ლექსები წაიკითხეს.

ლეიტენანტი, ოცეულის მეთაური რევაზ მამისაშვილი 8 აგვისტოს, საბრძოლო მოქმედების დროს დაიღუპა, ხოლო კაპიტანი, მეოთხე ბრიგადის საარტილერიო შტაბის უფროსი გიორგი კირაკოზაშვილი 9 აგვისტოს ცხინვალში საბრძოლო მოქმედების დროს სნაიპერის ტყვიას ემსხვერპლა.

მოსაგონარი

გია კირაკოზაშვილი

ჩემო ძვირფასო შვილო, რვა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 2008 წლის 9 აგვისტოს დიდი უბედურება დაატყდა ჩვენს ოჯახებს, ჩვენს ქვეყანას. იარები დღემდე არ მოშუშებულა, დარდი არ განელებულა. ამ ომმა საქართველოს ისედაც დაფლეთილ სხეულს კიდევ ერთი დიდი და ღრმა ჭრილობა მიაყენა.

შვილო, მძიმე ჯვარის ტარება მერგო წილად, მაგრამ წამიკითხავს – ადამიანმა თავისი ცხოვრებით ჯვარი უნდა შექმნას – ეს ჯვარი ასე უნდა გამოისახოს: სწრაფვა ღვთისაკენ და სწრაფვა ადამიანისაკენ. ბედნიერია ის, ვინც არა მარტო ატარებს თავის ჯვარს, არამედ თავისი ცხოვრებით ქმნის კიდეც მას. ამგვარი ადამიანი თავადაც ცხონდება და გარშემო მყოფთაც აცხოვნებს.

ჩვენ თუ ვიქნებით უფალთან, განსაცდელის დროს გვეტკინება, მაგრამ არ გავუბედურდებით, ისე, როგორც ქრისტე არ იყო უბედური.

შვილო, ქართულ ტრადიციებზე აღზრდილს არაფერი შეგშლია ცხოვრებაში. მამა – ოთარ კირაკოზაშვილი უფროსი ლეიტენენტი გყავდა, პაპა – გიორგი, დიდი სამამულო ომის მონაწილე. სწორედ მათ ჩაგინერგეს სამშობლოს და შენი ქვეყნის სიყვარული!

ვამაყობ, შვილო, თქვენით და ვფიცავ, მოწიწება და სანთელი არ მოაკლდება თქვენს საფლავებს სანამ ცოცხალი ვიქნები!

შვილო, გმადლობთ ასეთი შვილობისათვის! როცა სიკვდილ-სიცოცხლეს შორის არჩევანს აკეთებენ, გმირები სიკვდილს ირჩევენ, ლაჩრები კი სირცხვილს!

შვილო, გარდაცვალებიდან მერვე წლისთავზე გიძღვნი თემურ ჩალაბაშვილის ლექსს:

„ისეთი გული რად გინდა,
გქონდეს და არა გტკიოდეს,
ისეთი თვალნიც დავსილან,
ცრემლი არ ჩამოსდიოდეთ.
ისეთი ხმალი რად გინდა,
მტერთან შეყრა არ შიოდეს,
ისეთი შვილი რად გინდა,
სამშობლო არა სტკიოდეს.
ისეთი ცხენი რად გინდა,
ლაშქარში არა ხვიოდეს,
ისეთი მეფე რად გინდა,
ლაშქარს არ მიუყიოდეს;
ისეთი მიწა რად გინდა
სხვის ხელში გადადიოდეს.
ამას სჯობია, ქართველი
სამზეოს არ დადიოდეს!“

შვილო, დედის დანთებულმა სანთელმა გაგინათოს სასუფევლის გზა, უფალმა ნათელში ამყოფოს შენი და შენი თანამებრძოლების უკვდავი სული.

ცოცხლებს კი ყველას მშვიდობას, კეთილდღეობას, ჯანმრთელობას და ბედნიერებას ვუსურვებ!

დალი კირაკოზაშვილი,
2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილი, ვაზიანის IV ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დივიზიის კაპიტნის დაზვერვის უფროსი ოფიცრის გია კირაკოზაშვილის დედა.

გამოსათხოვარი

ცისანა კერატიშვილი-ნადირაძე

სიცოცხლის 76 წელზე შემოადამდა... უცბად, ყველასგან მოულოდნელად გადავიდა მიღმიერ, მარადიულ საქართველოში.

პირნათელი წარსდგა უფლისა და წინაპრების წინაშე...

პირნათელი, რადგან:

– სიცოცხლის ბოლომდე მზეგამბარი ქართული სულით იცოცხლა, იცხოვრა სხვათა პატივის მიგებით...

– ქართული ტრადიციების, ადათების, წესების უნაკლოდ დამცველი... კერიისა და ფუძის ქართულად, მართლმადიდებლურად მომვლელი...

– სიკეთის ულევად, დაუშურვებლად გამცემი – მოხუცებსა თუ ბავშვებზე, ახალგაზრდებსა თუ სნეულებაში მყოფებზე...

– მეზობლების, ნათესავების, მეგობრების, ხელის გამმართველი, მადლის მადლად მთესველი... წავიდა, წავიდა და თან გაიყოლა შვილების, შვილიშვილების, ახლობლების, ნათესავების, ჭირისუფალი მეზობლების წრფელი ცრემლები და სინანული – მათ გვერდით ვეღარ იქნება...

წავიდა და სულეთის გზა გაუნათა მისი სულის საცხონებლად დანთებულმა უამრავმა სანთელმა, მადლად გაცემულმა სიკეთემ...

დიდხანს, დიდხანს ემახსოვრებათ მის ნათესავებს, ნაფერებ შვილებსა და შვილიშვილებს, დანანების ცრემლს მოაყოლებენ მის შესანდობარს. ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული უფალმა.

მეულლე, შვილები, შვილიშვილები, მეზობლები

დალი ღვინაშვილი-ბოცირიძე

მან ლამაზად იცხოვრა. ამ სამი სიტყვით შეიძლება შეაფასო მისი გავლილი გზა.

სათნო და მშვენიერი, ხალისიანი და გულისხმიერი, ლამაზი ოჯახის მეუღლე, დედა და ბებია. დიახ, ასეთი ადამიანი აღარ არის ჩვენს გვერდით.

სიკვდილშიც რა არის უცხო და დაუჯერებელი, მაგრამ როგორ გინდა შეეგუო აზრს, რომ ვეღარასოდეს ნახავ ამ ლამაზი სულის ადამიანს. უნდა შეეგუოთ ამ საშინელებას, რომ ქალბატონი დალი ღვინაშვილი აღარასოდეს იქნება ამქვეყნად.

ეს ქალბატონი საქმესაც კეთილშობილურს ემსახურებოდა. ალბათ, ბევრი ახალგაზრდა თვალცრემლიანი შეხვდა დალი მასწავლებლის გარდაცვალებას.

1965 წლიდან მუშაობდა საგარეჯოს პოლიტექნიკურ კოლეჯში. საამაყო გუნდთან ერთად გამოიარა ლამაზი წლები. ამით ის ყოველთვის ამაყობდა. დღემდე მათი ურთიერთობები შესაშური და მისაბაძია.

სულ რაღაც 3 თვის წინ ქ-ნი დალი გამოემშვიდობა საყვარელ მეუღლეს და აი, თურმე რა ძლიერია სიკვდილი!

აღარასოდეს შევხვდებით ორ იდეალურ ადამიანს, რომელთა გაკეთებული საქმე დღესაც ასე ფასობს და იმედია, დიდხანს ექნება ღირებულება.

ქ-ნი დალი ღვინაშვილის სათნოება და მშვენიერება მარადიულობაში გადაინაცვლებს. ეს არის უზომო ტკივილი მისი ოჯახისა და მეგობრებისათვის.

უნდა დავიჯეროთ, რომ როგორ ლამაზადაც არ უნდა იცხოვრო, სიკვდილი მაინც ყველაზე ძლიერია.

გულისტკივილით –
საგარეჯოს ყოფილი პოლიტექნიკური კოლეჯის თანამშრომლები

ახლობლები ლილი და ციცინო ოსეფაშვილები, ეთერ და მათე მათიაშვილები, ავთო კუპრავა, ამირან ოტიაშვილი ოჯახებით იუწყებიან

დალი ღვინაშვილი-ბოცირიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ჭირისუფლებს.

თანაკლასელები: თინა ილაური, დალი გუსარიშვილი, ნუგზარ აზარიაშვილი, ზურაბ ბაირამაშვილი, სოსო გოგიტაშვილი, ვანო ჭიაბერაშვილი, გივი ანუაშვილი, მიშა ილაური თანაგრძნობას უცხადებენ დალი როსტომაშვილს მამის

იოსებ (კიჭასბიჭი) როსტომაშვილის

გელა გრატიაშვილს დედის

ლილი აზარიაშვილი-ბრატიაშვილის

და მიტო ტიგინაშვილს დედის

ლიზა მელაშვილი-ტიგინაშვილის

გარდაცვალების გამო.

როგორ ავიცილოთ თავიდან

ბრუცელოზი

ადამიანისა და ცხოველის ვერაგი დაავადება

რა უნდა ვიცოდეთ?!

თუ როგორ უნდა დავიცვათ თავი ამ ინფექციისგან, რა სიმპტომები ახასიათებს დაავადებას და როგორ მოვიქცეთ ცხოველებში ბრუცელოზზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში, გთავაზობთ რამდენიმე რჩევას:

– რა არის ბრუცელოზი და როგორ ვრცელდება დაავადება?

– ბრუცელოზი ქრონიკულად მიმდინარე ადამიანისა და ცხოველის ინფექციურ-ალერგიული დაავადებაა. დაავადება ვრცელდება ინფიცირებულ ცხოველთან კონტაქტით, დაინფიცირებული რძისა და რძის პროდუქტების გამოყენებით, ავადმყოფი ცხოველის დაკვლის და მისი ტან-ხორცის, ტყავის, მატყლის დამუშავებისას. დაინფიცირების ყველაზე მეტი საშიშროება სამეანო (მშობიარობის, მომყოლის შეჩერების და სხვა) დახმარების დროს იქმნება. დაავადებული ცხოველი უნდა დაიკლას. ბრუცელოზით დაავადებული ადამიანი არ წარმოადგენს ინფექციის წყაროს.

ბრუცელოზით დაავადებული ცხოველი მიკრობებს შარდთან და რძესთან ერთად გამოყოფს. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მიკრობი გამოიყოფა მოგების (მშობიარობის) დროს; შედეგად, ინფიცირდება სადგომი, მოვლის საგნები, საკვები, წყალი და სხვა, რაც იწვევს ჯანმრთელი ცხოველების დაინფიცირებას.

ცნობილია, რომ ბრუცელოზი დიდ ეკონომიკურ ზარალს აყენებს სოფლის მეურნეობას.

– რა სიმპტომები ახასიათებს ბრუცელოზს?

– ცხოველებში დაავადება, ძირითადად, უსიმპტომოდ მიმდინარეობს ან ვლინდება აბორტებით; ხშირად ადგილი აქვს მასტიტებს (ცურის ანთება), უნაყოფობას. დაავადება ადამიანებშიც ხშირად უსიმპტომოა ან ცვალებადი კლინიკური ნიშნებით ხასიათდება. ბრუცელოზის ინკუბაციური (ფარული) პერიოდი ერთი კვირიდან რამდენიმე თვემდე გრძელდება. ახასიათებს ცხელება, ზოგადი სისუსტე, სახსრების, კუნთების და თავის ტკივილი, ოფლიანობა, წონის დაკლება, უძილობა.

– როგორ ავირიდოთ თავიდან ბრუცელოზი?

– ბრუცელოზის თავიდან ასაცილებლად არ უნდა მიიღოთ თერმულად დაუმუშავებელი ცხოველური პროდუქტები - უმი ან არაპასტერიზებული რძე და რძის პროდუქტები. ბრუცელოზის აღმძვრელი (გამომწვევი) 60 გრადუსზე გაცხელებისას 30 წუთში იღუპება. ადუღება ბაქტერიას მომენტალურად კლავს. ყველში ბაქტერია 25 დღიდან 1 წლამდე, ხოლო გარემოში რამდენიმე თვის განმავლობაში ძლებს.

ცხოველების მოვლისას, განსაკუთრებით მშობიარობისდროს, რეპროდუქციულ ქსოვილებთან (ახალდაბადებული ან აბორტირებული ხბო) შეხებისას, ხორცის დამუშავებისას აუცილებელია დამცავი ტანსაცმლის - ხელთათმანი, წინსაფარი, ნიღაბი, ბოტები - გამოყენება.

– როგორ უნდა მოვიქცეთ ცხოველებში დაავადებაზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში?

– დაავადებაზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში, მაგალითად, აბორტის დროს, არ შეეხოთ ცხოველს შიშველი ხელებით, თვითნებურად არ დამარხოთ ან გადააგდოთ ნაყოფი და დაუკავშირდით ვეტერინარ ექიმს, რომელიც კვლევისთვის ნიმუშებს აიღებს.

– როგორ დგინდება დიაგნოზი?

– ცხოველებში ბრუცელოზის დასადგენად საჭიროა სისხლის სინჯების, ხოლო აბორტის შემთხვევაში - ნაყოფის და სანაყოფე გარსების ლაბორატორიული გამოკვლევა.

დაავადების დადგენის შემთხვევაში, ცხოველი უნდა დაიკლას სასაკლაოზე, ვეტერინარული ზედამხედველობის ქვეშ, რა დროსაც გაირკვევა, როგორ უნდა მოხდეს ხორცისგამოყენება.

– დაბოლოს, რას ურჩევთ ცხოველის მეპატრონეებს?

– იმისთვის, რომ დავიცვათ ცხოველის ჯანმრთელობა და არც გარშემომყოფებს შევუქმნათ საფრთხე, აუცილებელია მასზე მუდმივი ზედამხედველობა. ითანამშრომლეთ ვეტერინართან, რომელიც გაგიწევთ საჭირო კონსულტაციას და დაგეხმარებათ ცხოველისა და ადამიანისთვის საშიში ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენი გაზეთის აქტიურ მკითხველსა და საინტერესო თემებზე კვალიფიციური წერილების მომწოდებელს, ***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსს*** **ნიკო ჯაფახიშვილს**.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს და სიხარულს თავის საყვარელ ოჯახთან ერთად, წარმატებებს იმ საქმეყნო საქმიანობაში, რასაც ის ჩვენი სამშობლოს მასშტაბით ეწევა სოფლის მეურნეობის დარგების აღორძინება-განვითარებისათვის.

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია



დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს თანამშრომელს, გარეჯული სპორტის გულშემატკივარსა და მხარში მდგომს, პატარძეულ ელ ოლიმპიელს **გივი ონაშვილს.** ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და კვლავაც შემართებით იმ კეთილშობილური საქმეების კეთებას, რომელსაც ჩვენი გაერთიანების სპორტსმენები დიდი გამარჯვებებისკენ მიჰყავს.

აია „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ თანამშრომლები

ზაირა უსულადიშვილი

ჩვენს თბილ, ტკბილ, გულისხმიერ და მარად ახალგაზრდა სიმპათიურ მეზობელს ქ-ნ **ზაირა უსულადიშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს მისი უახლოესი მეგობრები, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და სიხარულს თავის ლამაზ ოჯახთან ერთად.

სიყვარულით.

მარინე, ნაირა, ციცინო, მედიკო

დაბადების დღეს ვულოცავთ საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსს ბ-ნ **თამარ ხიდაშელს**. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სამსახურებრივ წარმატებას და ბედნიერებას თავის საყვარელ ოჯახთან ერთად.

კეთილი სურვილებით ბიურო თანამშრომლები



დაბადების დღეს ვულოცავთ საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსს ბ-ნ **კახაბერ ხვთისავრიშვილს.**

საუკეთესო სურვილებით, სიყვარულით, ბედნიერებით და წარმატებებით სავსე უამრავ წლებს ვუსურვებთ. წინსვლა და წარმატება პირად ცხოვრებაში და პროფესიულ საქმიანობაში.

კეთილი სურვილებით ბიურო თანამშრომლები

სამუსიკო სტუდია „მი-რე-ლა“ აქედან სერიოზულ პროექტებსა და კონკურსებში

<u>დასასრული</u>

რაც შეეხება საანგარიშო კონცერტს, რომელიც თბილისში „მაგთის კლუბში“ გაიმართა, აქ მართლაც მაღალი შეფასება მისცეს ჩვენს მოსწავლეებს მუსიკოსებმა მარინა ცხაკაიამ, ცაია ყიფიანმა, თამარ ჭკუასელმა და ჟიურის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებმა. რაც შეეხება წელს გამართულ კონკურსში „მხიარული ნოტები“ ჟიურის წევრების: გიორგი ჩიქოვანის, ანი სირაძის, თამარ მაყაშვილის, თემო საჯაიას, ანრი ჯოხაძის მაღალი შეფასებები დაიმსახურეს სტუდიის მოსწავლეებმა მარი საგინაშვილმა და ნანუკი სამბელაშვილმა (მათ II საპრიზო ადგილები დაიკავეს) და ნოდიკო გერსამიამ და ნუცა მეზვრიშვილმა (IV საპრიზო ადგილები). აქ მათ ოთხივემ ლაურეატის წოდებები მოიპოვეს.

მე მგონი შეკითხვას პასუხიც გაეცა – სტუდიაში მუშაობამ მათ გამბედაობაც შემატათ და საინტერესო პროექტებში საკმაოდ დიდი წარმატებებითაც მიიღეს მონაწილეობა.

– გეთანხმებით, რეპერტუარზე რას გვეტყვით?

– მრავალფეროვანია, ასე ვიტყოდი. გვაქვს ქართული, რუსული, ინგლისური, ფრანგული, ებრაული სიმღერები, რომლებსაც მღერიან დუეტებშიც, კვარტეტშიც. ჩვენი სტუდიის I თაობას იაპონური სიმღერაც აქვს შესრულებული. მომზადებული მაქვს პოლონური„ უკრაინული. საერთოდ დიდი სურვილი მაქვს ყველა ენაზე თუ არა, რამდენიმე ათეულ ენაზე მაინც ისწავლონ სიმღერები.

– რაც შეეხება სტუდიის სახელწოდებას „მი-რე-ლა“. რატომ „მირელა“?

– იცით, როგორც გითხარით, 2003 წლიდან ითვლის თავის ასაკს ჩვენი სტუდია. ამ ხნის განმავლობაში სტუდიას სახელწოდება არ ჰქონდა. შარშანწინ, საახალწლოდ

მოხდა მისი სახელწოდების პრეზენტაცია – უბრალოდ ავიღეთ სანოტო ანბანიდან სამი ნოტი და გავაერთიანეთ.

– ვაღიარეთ, რომ თქვენი სამომავლო გეგმები თქვენი სტუდიის მიერ გაწეული მუშაობის გაცნობიდანაც ჩანს და ახალ-ახალი სიმღერების (სხვადასხვა ენაზე) შესწავლის სურვილიდანაც. წარმატებებს გისურვებთ.

– გმადლობთ. ასეა. ვიმედოვნებ ჩვენი სტუდიის ბავშვები კიდევ მრავალ სატელევიზიო პროექტებსა თუ მიწვევებსა თუ გამოწვევებში მიიღებენ მონაწილეობას და საკმაოდ წარმატებითაც.

„ხელოვნება თავად უკვდავებაა“

თვითნასწავლი ბემოძმედის 50 საუნჯე

გიორგი (ცაცა) ზულიაშვილი:

– მათში მთელი ჩემი და ქართული სულის ნაწილი მაქვს ჩაქსოვილი...

<u>დასასრული</u>



ქურთმებ ჯვრებს და სხვა.

– გავიგეთ, ამ ბოლო წლებში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებითაც დაინტერესებულხართ?

– კი, ამ სფეროშიც ვცადე ჩემი შესაძლებლობები. გამოვიყენე ორსაუკუნოვანი დიდი კაკლის ხის მოჭრილი ძირი თავისი ფესვებით, მის ფესვებში გავაკეთე მაგიდა და სკამი, თითოეული ფესვისაგან კი გამოვიყვანე სხვადასხვა ცხოველი და ფრინველი, ხალხური ფოლკლორის შემსრულებლები; სულ 100 ფიგურა გამოვიდა ამ ფესვებისგან, რაც საგარეჯოში ინახება.

– იმედია ისინიც ისეთი პოეტური და შთამბეჭდავი იქნება, როგორიც თქვენი სხვა ნამუშევრებია.

ასეთი წარმატების და აღიარების მქონეს, არ მოგსვლიათ იდეა, რომ მოაწყოთ თქვენი საკუთარი საგამოფენო დარბაზი, რომელიც, ეჭვი არ მეპარება, რომ ბევრ დამთვალიერებელსა და ტურისტს მოიზიდავდა?

– ამ იდეის ხორცშესხმისათვის კარგა ხანია ვცდილობ, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო ვერ ვახერხებ მის განხორციელებას. ამ ბოლო ხანებში თითქოს გამოჩნდა რაღაც იმედი. ვნახოთ, რა გამოვა აქედან.

– და ბოლოს, რით ხართ დაკავებულიო ამჟამად, კიდევ რა ახალი ნამუშევრით გაახარებთ თქვენი ნამუშევრების მნახველებს?

– სადღეისოდ რაიმე იდეაზე არ ვმუშაობ. რაც შეეხება სამომავლოდ, ჩაფიქრებული მაქვს ანსამბლ „ერისიონის“ სიმღერა „შატილის ასულოს“ მიხედვით ნახატის შექმნა, რაც მერე ხეზე გადავა და ამოიტვიფრება. ეს პროცესი ძალზე რთულია, მაგრამ იმედი მაქვს, რომ დვთის შეწევნით მასაც ადვილად დავძლევ და ჩემს ამ ჩანაფიქრს განვახორციელებ.

– დმერთმა გაგაძლიეროთ და ხელი მოგიმართოთ, რომ კიდევ ახალ-ახალი შედევრებით გაამდიდროთ ჩვენი ეროვნული საგანძური.

გ. დაბახიშვილი

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru